დანართი#1

დამტკიცებულია
სსიპ "საზოგადოებრიბი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის
2023 წლის 01 თებერვლის N02-03/03- ბრძანებით

სსიპ "საზოგადოებრიბი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის 2016 წლის 12 ოქტომბრის N2-03/28 ბრძანებით დამტკიცებულ ,,სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყბელის აჭარის ტელევიზია და რადიოს" საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის დებულებაში განხორციელდეს ცვლილება:

1. დებულების მე-3 მუხლს დაემატოს 32-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,32. პრომოუშენის განყოფილება (ჯგუფი)"

2. დებულების მე-3 მუხლს დაემატოს 33-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„33. ბრენდმენეჯერი".

3. დებულების მე-4 მუხლს დაემატოს 32-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

32. სამსახურის შემადგენლობაში შედის სტრუქტურული ერთეული - პრომოუშენის განყოფილება (ჯგუფი), რომელსაც ხელმძღვანელობს განყოფილების/ჯგუფის ხელმძღვანელი. ჯგუფი საკუთარ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ბრენდმენეჯერთან კოოორდინაციიით.

32.1. განყოფილების ძირითადი ამოცანები:

1. განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემის პერიოდულად/ სეზონების მიხედვით შეფუთვის უზრუნველყოფა მაღალი ტექნიკური ხარისხით, რეჟისურითა და შინაარსით;

ბ) მიზნობრივი, მრავალფეროვანი პროგრამათაშორისი ვიდეოარტების, კალენდარული თარიღების შესაბამისი ვიდეორგოლები მომზადება მაღალი ტექნიკური ხარისხით, რეჟისურითა და შინაარსით;

გ) სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული/დოკუმენტური/ანიმაციური ფილმების ანონსების მაღალი ტექნიკური ხარისხითა და ვიზუალით მომზადება;

32.2. განყოფილების სტრუქტურა:

1. განყოფილების/ჯგუფის ხელმძღვანელი
2. განყოფილების/ჯგუფის მთავარი რედაქტორი

3. განყოფილების/ჯგუფის პროდიუსერი

4. განყოფილების/ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი

5. განყოფილების/ჯგუფის რეჟისორი

6. რეჟისორის ასისტენტი

7. მთავარი გრაფიკოს-დიზაინერი

8. ოპერატორი

9. გრაფიკოს- მემონტაჟე

10.მემონტაჟე

11. სატელევიზიო გადაცემების ანონსების რედაქტორი

12. სატელევიზიო გადაცემების ანონსების პროდიუსერი

32.3 განყოფილებაში დასაქმებული პირების შრომითი მოვალეობები

ა) განყოფილების/ჯგუფის ხელმძღვანელი

1.ორგანიზებას უწევს ჯგუფში დასაქმებული პირების საქმიანობას, განსაზღვრავს მათ სამუშაო გრაფიკს, განრიგს;

2. ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად:

2.1. სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული/დოკუმენტური/ანიმაციური ფილმების ანონსების შინაარსის განსაზღვრა, განვითარების სამუშაოების დაგეგმვა და მომზადების კოორდინაცია.

2.2. ახორციელებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემების შეფუთვასთან დაკავშირებული წინადადებების, იდეების განხილვას, შინაარსის განსაზღვრას, სცენარის შექმნას და უზრუნველყოფს მომზადების ორგანიზებას.

2.3. ახორციელებს მიზნობრივი, მრავალფეროვანი პროგრამათაშორისი ვიდეოარტების, კალენდარული თარიღების შესაბამისი ვიდეორგოლების კონცეფციების დამუშავებას, თემების განსაზღვრას, სცენარის შექმნას და უზრუნველყოფს მომზადების ორგანიზებას.

3. უზრუნველყოფს მიმდინარე საორგანიზაციო სამუშაოების მაღალი ხარისხით განხორციელებას, პრობლემების გამოვლენას და დროულ რეაგირებას.

4. ასრულებს სამსახურის უფროსის სამსახურებრივი დავალებებს.

ბ) მთავარი რედაქტორი

1. ჯგუფის ხელმძღვანელს წარუდგენს და განიხილავს იდეებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემების შეფუთვასთან დაკავშირებით.

2. განსაზღვრავს მიზნობრივი, მრავალფეროვანი პროგრამათაშორისი ვიდეოარტების, წლის მთავარი კალენდარული თარიღების შესაბამისი ვიდორგოლების თემებს და განსახილველად წარუდგენს ჯგუფის ხელმძღვანელს,

3. უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ კონტენტის მომზადებას კრეატიულ კონცეფციასა და ტელესტანდარტებთან შესაბამისობით;

4. უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მომზადებული კონტენტის ტექსტის სიზუსტეს.

გ) სამხატვრო ხელმძღვანელი/რეჟისორი

1. ჯგუფის ხელმძღვანელს წარუდგენს და განიხილავს იდეებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემების შეფუთვასთან დაკავშირებით.

2. განსაზღვრავს სატელევიზიო არხის სამხატვრო-შემოქმედებით პრინციპებს.

3. უზრუნველყოფს იდეის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებას, საკუთარი ან ჯგუფის მიერ შემუშავებული სცენარის ინტერპრეტირებას და სათანადო რეაგირებას;

4. უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მოსამზადებელი კონტენტის რეჟისურასა და მონტაჟს მაღალი პროფესიული ხარისხით;

დ) რეჟისორი

1. მუშაობს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჯგუფის მიერ შესაქმნელი კონტენტის იდეებსა და შინაარსზე;

2. უზრუნველყოფს იდეის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებას, შემუშავებული სცენარის ინტერპრეტირებას და სათანადო რეაგირებას;

3. უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მოსამზადებელი კონტენტის რეჟისურასა და მონტაჟს მაღალი პროფესიული ხარისხით;

ე) რეჟისორის ასისტენტი

1. მუშაობს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჯგუფის მიერ შესაქმნელი კონტენტის იდეებსა და შინაარსზე;

2. ჩართულია ჯგუფის მიერ მოსამზადებელი კონტენტის რეჟისურასა და მონტაჟის პროცესში.

ვ) პროდიუსერი

1. უზრუნველყოფს ჯგუფის ადმინისტრაციული, ტექნიკური და შემოქმედებითი ამოცანების უშესრულებას;

2. ჯგუფის მიერ კონტენტის გადაღება-მომზადებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა დასაწყისიდან საბოლოო შედეგამდე;

3.თანამშრომლობს გადამღები ჯგუფის წევრებთან და უწევს მხარდაჭერას ტექნიკური შეფერხებების დროულად გადაწყვეტაში.

ზ)მთავარი გრაფიკოს -დიზაინერი

1. პასუხისმგებელია ჯგუფის მიერ მომზადებული კონტენტის ვიდეომონტაჟსა და გრაფიკულ გაფორმებაზე.

2. ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ამზადებს სატელევიზიო არხის/სატელევიზიო გადაცემის შეფუთვისთვის განკუთვნილ მასალას, ვიდეოარტებსა და კალენდარული თარიღის შესაბამის ვიდეორგოლებს.

3. მოიპოვებს მონტაჟისთვის საჭირო დამატებით ფოტო, ვიდეო და აუდიომასალას.

4. თანამშრომლოს სხვა შესაბამის სამსახურთან არხის სტუდიების მაღალი ხარისხით შესაფუთად.

5. ამზადებს წინადადებებს კონკრეტული გადაცემებისა და სატელევიზიო არხის გრაფიკულ გაფორმებაზე.

6. ვიდეომონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ამზადებს სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული/დოკუმენტურ/ანიმაციური ფილმების ანონსებს.

თ) გრაფიკოს-მემონტაჟე

1. მთავარი გრაფიკოს-მემონტაჟის, მითითებით სასცენარო გეგმის დაცვით ამონტაჟებს ვიდეომასალას.

2. ვიდეოპროდუქტის შინაარსობრივი და მხატვრული, ან ტექნიკური ხარისხის გაზრდის მიზნით, მთავარი გრაფიკოს-მემონტაჟეს სთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს და შეთანხმების შემთხვევაში ახორციელებს მათ.

3. დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას აღმოჩენილ ტექნიკური ხარვეზს და აცნობებს ჯგუფის ხელმძღვანელს, მთავარი გრაფიკოს-მემონტაჟეს.

ი) ანონსების მემონტაჟე

1. სასცენარო გეგმის დაცვით ამონტაჟებს ვიდეომასალას ანონსებისთვის.
2. დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას აღმოჩენილ ტექნიკური ხარვეზს და აცნობებს ჯგუფის ხელმძღვანელს

კ) ოპერატორი

1.დროულად და ხარისხიანად ახორციელებს მითითებულ წინასწარ განსაზღვრულ სამუშაოს, უშუალოდ პასუხისმგებელია გადაღებული მასალის ვიზუალურ მხარეზე;

2. პროდუქტის შექმნისას უზრუნველყოფს ტექნიკური მხარის გამართულობას (განათება, მიკროფონი და ა.შ.)

3.მონაწილეობას ღებულობს ჯგუფის/სამსახურის მიერ დაგეგმილი თემების, იდეების განხილვაში.

ლ) სატელევიზიო გადაცემების ანონსების რედაქტორი

1. უზრუნველყოფს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად სატელევიზიო გადაცემების შინაარსის განსაზღვრას და განვითარების სამუშაოების დაგეგმვას, დაგეგმილი სამუშაოების კოორდინაციას.

2. მუდმივ კომუნიკაციაშია საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების ავტორებთან და კოორდინირებას უწევს ანონსების მაღალხარისხიან და დროულად მომზადებას, განსაზღვრულ შინაარსთან შესაბამისობას.

მ) სატელევიზიო გადაცემების ანონსების პროდიუსერი

1. მუდმივ კომუნიკაციაშია საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების ავტორებთან და კოორდინირებას უწევს ანონსების მაღალხარისხიან და დროულად მომზადებას.

2. მონაწილეობას ღებულობს ჯგუფის/სამსახურის მიერ დაგეგმილი თემების, იდეების განხილვაში.

3. უზრუნველყოფს ვიდეოპროდუქტის შემოწმებისას ტექნიკურ გამართულობას, აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზის დაუყოვნებლივ გამოვლენას და აცნობებს ჯგუფის/სამსახურის ხელმძღვანელს/უფროსს.

4. დებულების მე-4 მუხლს დაემატოს 33-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

33. ბრენდმენეჯერი:

ა).თითოეული სატელევიზიო პროგრამის (როგორც საავტორო გადაცემების, ასევე მექანიკური მასალის) პრომოუშენის აუთვისებელი პოტენციალის შეფასება და საჭიროებების გამოვლენა;

ბ). თითოეული სატელევიზიო პროგრამისათვის კვარტლის პრომოუშენის გეგმის შედგენა - პრომოებისა და ანონსების რაოდენობების განსაზღვრის კოორდინაცია;

გ). საუკეთესო პრაქტიკებისა და სხვა ტელევიზიების მიერ დამზადებული პრომოებისა და ანონსების მოძიებისა და ანალიზის კოორდინაცია;

დ). დამზადებული პრომოებისა და ანონსების მაქსიმალური გავრცელების კოორდინაცია ტელევიზიაში, რადიოში, ინტერნეტში სხვადასხვა სახით/არხებით;

ე). წამყვანების, გადაცემების პოპულარიზაციის შესაძლებლობების გამოვლენა, იდეების მოფიქრება და დაყენება საბჭოზე;

ვ). სატელევიზიო ბრენდის მახასიათებლების განსაზღვრა (ლოგო, დიზაინი, დასახელება..) და მათი განვითარების იდეების დაყენება საბჭოზე;

ზ). დამტკიცებული ბრენდის მახასიათებლების შესახებ თანამშრომლების ინფორმირება;

თ). მაუწყებლის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით წინადადებების დამუშავება;

ი). სატელევიზიო ბრენდის განვითარების მიმართულებით ღონისძიებების ეფექტურად ორგანიზება;

კ). ბრენდისათვის საზიანო ინფორმაციის დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა/განხორციელება;

ლ). პრომოუშენი ღონისძიებებისა და აქტივობების გავრცელების არხების განსაზღვრა და მათი მუდმივი განვითარება;

მ). სატელევიზიო ბრენდის განვითარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების, აქტივობების მაქსიმალური გაშუქების უზრუნველყოფა სხვადასხვა არხების გამოყენებით;

ნ). გარე პარტნიორული არხების განვითარება, სადაც მოახდენს როგორც გადაცემების, ასევე ბრენდის და თანამშრომლების პრომოუშენს;

ო). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;